



**ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 429

16 აგვისტო
“ --- ” ----- 2024 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა №70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.08.010.060; №01.13.08.010.062; №01.13.08.010.061; №01.13.08.010.059; №01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №24.1315.1498 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა №70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.08.010.060; №01.13.08.010.062; №01.13.08.010.061; №01.13.08.010.059; №01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01241362-67 (№01241491387-67; №01241929-67; №01241973798-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1315.1498 31 / ივლისი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.08.010.060; N01.13.08.010.062; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 15 მაისს N01241362-67 (N01241491387-67; N01241929-67; N01241973798-67) განცხადებით მიმართა ანრი ბაციკაძემ (პ/ნ 01024002223) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.08.010.060; N01.13.08.010.062; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.08.010.060; N01.13.08.010.062; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 11 034 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება; ასევე, ვრცელდება ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა: ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა (ისტ-2)

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N212 განკარგულებით.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანება და ერთ მიწის ნაკვეთზე 6 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება, (საცხოვრებელი, სავაჭრო/კომერციული, საოფისე, დამხმარე, სარეკრეაციო, საინჟინრო-ტექნიკური).

დადგენილი ფუნქციური ზონირება სზ-5 არ იცვლება. იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით დადგენილი ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური).

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული ნაწილის დამცავი ზონაში, ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა 2 (ისტ-2). საკითხი განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შტაბში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე, რომლის 2024 წლის 24 მაისის 60-01241451768 წერილის თანახმად საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.



მიწის ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთი - N1 - 11 034 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) - 11 034 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 6 007 კვ.მ.

კ-2= 2,1 - 23 661 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 3 310 კვ.მ.

მაქსიმალური სიმაღლე - 24 მ.

სართულიანობა - 6 მიწისზედა სართული

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 24 მაისის N60-01241451768 წერილის შესაბამისად, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N18 16.05.2024წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.08.010.062; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.059; 01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 15 ივლისს N01241973907 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 17 ივლისის N0124199887 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.08.010.060; N01.13.08.010.062; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01241362-67 (N01241491387-67; N01241929-67; N01241973798-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.08.010.060; N01.13.08.010.062; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01241973907
თარიღი: 15/07/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 15 ივლისის №01241973798-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.13.08.010.059, 01.13.08.010.060, 01.13.08.010.062, 01.13.08.010.061, 01.13.08.010.063; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: ნაწილზე შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **14 ძირი (ს/კ: 01.13.08.010.063- №45; 46; 85; 124; 134; 141; 43; 207; 18; ს/კ: 01.13.08.010.062 - №394; 405; ს/კ: 01.13.08.010.060 - №387; 328; 375)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი **7 ძირი (ს/კ: 01.13.08.010.063- №2; 25; 48; 99; 100; ს/კ:01.13.08.010.060 - №332; 372)** ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/ავარიული/ფაუტი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **16 ძირი (ს/კ: 01.13.08.010.063 - №97; 183; 195; 162; 165; 171; 176; 189; 220; 227; 232; 70; 72; ს/კ:01.13.08.010.062 - №401; ს/კ:01.13.08.010.060 - №377; 378)** ხმობადი/ზეხმელი/გადაბერებული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **329 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (ს/კ: **01.13.08.010.063** - №26; 32; 36; 3; 6; 8; 9; 10; 12; 13; 14; 19; 27; 30; 31; 35; 37; 44; 58; 59; 60; 61; 64; 67; 68; 84; 94; 102; 104; 107; 109; 110; 111; 112; 125; 127; 128; 143; 148; 156; 166; 167; 169; 178; 179; 182; 187; 188; 196; 201; 213; 214; 221; 225; 233; 248; 249; 253; 254; 258; 259; 262; 263; 266; 267; 268; 269; 270; 271; 272; 278; 279; 280; 283; 284; 285; 288; 289; 291; 292; 295; 307; 310; 312; 314; 321; 54; 78; 96; 116;

129; 130; 131; 132; 133; 135; 136; 137; 138; 139; 193; 197; 215; 222; 16; 17; 20; 21; 22; 23; 28; 29; 38; 39; 42; 47; 49; 50; 55; 56; 144; 174; 180; 257; 281; 282; 33; 53; 75; 77; 79; 81; 86; 87; 88; 92; 95; 150; 151; 152; 153; 154; 157; 158; 159; 168; 170; 173; 181; 185; 186; 200; 203; 212; 218; 230; 276; 297; 255; 264; 265; 286; 287; 294; 298; 304; 305; 306; 308; 313; 71; 24; 98; 140; 235; 290; 89; 119; 194; 204; 65; 114; 121; 206; 243; 217; 247; 251; 52; 63; 199; 210; 34; 91; 7; 11; 73; 74; 76; 80; 83; 90; 93; 113; 115; 117; 118; 120; 122; 123; 142; 155; 161; 164; 172; 175; 177; 184; 190; 191; 192; 208; 211; 216; 219; 223; 224; 228; 234; 244; 245; 250; 252; 256; 260; 261; 273; 274; 275; 277; 293; 296; 299; 300; 301; 302; 303; 309; 319; 320; ს/კ:01.13.08.010.062 - №393; 396; 397; 404; 395; 398; 399; 400; 403; ს/კ:01.13.08.010.061 - №457; 459; 474; 453; 475; 476; 408; 465; 409; 410; 411; 412; 413; 414; 454; 472; 466; 473; 422; 452; 463; 478; 484; 432; 440; 462; 471; 455; 456; 458; 461; 477; ს/კ:01.13.08.010.060 - №325;385; 388; 382; 346; 348; 349; 350; 383; 384; 386; 390; 391; 392; 322; 323; 324; 326; 327; 329; 330; 331; 333; 334; 337; 338; 340; 341; 342; 344; 347; 373; 374; 351; 380; 381; 389; 345) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 329 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 38 ძირი (ს/კ: 01.13.08.010.063- №40; 41; 57; 82; 160; 202; 205; 209; 66; 69; 103; 101; 105; 106; 108; 1; 15; 48; 51; 198; 63; 126; 62; 229; 226; ს/კ:01.13.08.010.062 - №402; ს/კ:01.13.08.010.061 - №406; 460; 470; 407; 464; ს/კ:01.13.08.010.060 - №352; 376; 379; 335; 336; 339; 343) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/ გადასარგავი: 441 ძირი მწვანე ნარგავი) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3310 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას დენდროლოგიურ გეგმაზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0124199887
თარიღი: 17/07/2024

2024 წლის 15 ივლისის N 01241973798-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.13.08.010.060; 01.13.08.010.062; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.059; 01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 23 აპრილის N 01241141569-67 განცხადების პასუხად N 01241142107 წერილით.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.


თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არქიტექტურის სამსახური



წერილის ნომერი: 60-01241451768
თარიღი: 24/05/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 15 მაისის N16-01241362733 (17-01241362842-60 15.05.2024) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, **უზნადის ქუჩა N70-ში**, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.08.010.062; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.059; 01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N18 16.05.2024წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, **უზნადის ქუჩა N70-ში**, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.08.010.062; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.059; 01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.


პატივისცემით,

თამარი მელივა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





თბილისის არქიტექტურა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №7026023

განაცხადი №AR11035346

თარიღი : 16.05.2024



განმცხადებელი: ეკა მხეიძე პ/ნ: 01009007031

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21); ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21); ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21); ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21); ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21);

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- ადმინისტრაციული საკითხები

კომისიის წევრი: თანხმობა

• შენობების მოცულობები განთავსდეს იმგვარად რომ მარცხენა მხარეს განთავსებულ შენობების რიგს არ ჰქონდეთ ყრუ კედლები.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- ესკიზის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -


კომისიის წევრი: თანხმობა

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 16.05.2024

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:


ოქმი N18

მიეცეს დადებითი შეფასება უზნაძის ქუჩა N70-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:
(N01.13.08.010.062; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.059; 01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი
კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხს.



<p align="center">განაგებენაგების რეგულირების გეგმა</p>	
<p>საკრებულო ტერიტორიაზე განთავსებული მშენებლის გეგმა</p>	<p>საკრებულო ტერიტორიაზე განთავსებული მშენებლის გეგმა</p>
<p>თარიღი: 13/05/24 ფურცელი: A-1</p>	<p>მასშტაბი: 1/750 ფურცელი: 20</p>
<p>0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12</p>	

განგებულ სანაპიროლენ



განგებულ უზენაის ქვიდიან

<p>შქმსრულქქელი შქმს "ქუასარბ დინაინი" საპროექტო ქვიდიანი, საპროექტო რაიონი, ვახტანგულს ქვიდიანი 11ბ, ბულ: 2 22 00 88</p>	<p>თანამდქქელი ლირაბერი მრს ს პირი მრს ს თხვეტირაი კანქველული კვიდიანი კვიდიანი</p>	<p>გვარი, საქელი დ მრქვიდიანი ბ.თხვეტირაი მ. ლომიქიან, პუდიანი დ. ქვიდიანი</p>	<p>ხელმთქქელი </p>	<p>დაქქელი შქმს, „სანაპიროლენ განქვიდიანი ქვიდიანი“ საქმ. კვიდი: 202292401 საპროექტო ქვიდიანი, სოქველ რაიონი, ჯანაქმს ქ N 70, დანქ 10/21)</p>	<p>კვიდიანი დასანქქელი მრანქვიდიანი სანქვიდიანი ქვიდიანი</p>	<p>რქვიდიანი მისანქქელი ქვიდიანი მრქვიდიანი, ჯანაქმს ქ N 70 ს.კ. 01.13.08.010.069; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.062; 01.13.08.010.063</p>
--	--	---	-------------------------------	--	---	--




განაშენიანების
რეგულირების გეგმა

გეგმა რეგულირების გეგმა
შპს "საბურთალოს რაიონის
კომუნალური სამსახურის
სამართლებრივი განყოფილება"


თარიღი	13/05/24	მასშაბი	1:250
ფურცელი	A-1	ფურცლები	19

0 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100

წრილი 1-1
მ. 1:250



წრილი 2-2
მ. 1:250



შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"	დამკვეთი	პროექტის დასახელება	ობიექტის მისამართი
შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"	შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"	მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი	ქალაქი თბილისი, უზნაძის ქ. N70 ს.ა. 01.13.08.010.059; 01.13.08.010.060; 01.13.08.010.061; 01.13.08.010.062; 01.13.08.010.063
ლიკენიანი გეგმა-პროექტი საპროექტო სიღრმე რეზერვუარის სიღრმე	დ. გომიციანიძე ბ. ბიბილაძე მ. ლომიძე, გ. ჯაფარიძე დ. კურაშვილი	გეგმა-პროექტი საპროექტო სიღრმე რეზერვუარის სიღრმე	საბურთალოს რაიონის უზნაძის ქ. N70, ნაკვ. 102/1
შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"	შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"	შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"	შპს "საბურთალოს რაიონის კომუნალური სამსახურის სამართლებრივი განყოფილება"

